



Empowered lives.
Resilient nations.

კონცეფციის მონახაზი

სამუშაო შეხვედრა:

ბიომასის პოპულარიზაცია საქართველოში

მიზანი:

საქართველოს ბიომასის ასოციაცია, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებთან ერთად, მართავს ერთობლივ სამუშაო შეხვედრას თემაზე: „ბიომასის პოპულარიზაცია საქართველოში“. ღონისძიება გაიმართება 2017 წლის 20 ივლისს თიანეთში. შეხვედრის მიზანია საქართველოს ბიომასის ასოციაციის ოფიციალური წარდგენა და მონაწილეებისათვის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა. ღონისძიება ასევე ხელს შეუწყობს გამოცდილებისა და წარმატების მაგალითების გაზიარებას სხვადასხვა პარტნიორებს შორის, გამოკვეთს სექტორში არსებულ გამოწვევებს და დასახავს ბიომასის პოტენციალის განვითარების გზებს საქართველოში.

საქართველოს ბიომასის ასოციაციის შესახებ

საქართველოს ბიომასის ასოციაცია წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მასშტაბით საერთო ეფექტური პლატფორმის შექმნას ბიომასის ენერგოპოტენციალის გასაზრდელად და ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს შექმნას სახელმწიფო და საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოპოვების სათანადო მექანიზმები, უზრუნველყოს სათანადო ბიზნეს გარემოს შექმნა ბიომასის ბაზრის განვითარებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე.

ასოციაცია 2017 წლის მარტში, UNDP-ის პროექტის - „ბიომასის წარმოებისა და უტილიზაციის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდაჭერით დაფუძნდა. ამ ეტაპზე ორგანიზაციის მიზანს წამოადგენს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ახალი პროექტებისათვის დაფინანსების მოძიება და პოტენციური პარტნიორების გაცნობა-დაახლოება, ასევე სხვადასხვა სექტორებიდან დაინტერესებული პირების გამოკვეთა და ეფექტური პლატფორმის შექმნა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისათვის ბიომასის ენერგოპოტენციალის გასაზრდელად საქართველოს მასშტაბით.

პროექტის შესახებ

საქართველოს ბიომასის ასოციაციამ მიიღო გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსება საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში (თიანეთი და დუშეთი) ბიომასის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროექტის განსახორციელებლად. პროექტი მიზნად ისახავს მდგრადი ბიოსაწვავის, როგორც ტყისა და სასოფლო-სამეურნეო



Empowered lives.
Resilient nations.

ნარჩენებისგან მიღებული ალტერნატიული და მდგრადი საწვავის გამოყენების პრომოციას. გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს: რეგიონის მასშტაბით ცნობიერების ამაღლებას და განახლებადი ენერჯის გამოყენების უპირატესობების წარმოჩენას მიმდინარე კლიმატის ცვლილების ეფექტის შესამცირებლად; აგრეთვე თვითმმართველი თემის დისკუსიებში ჩაბმას, რათა მოხდეს განახლებადი ენერჯის ადგილობრივ დონეზე წარმოების გაზრდა.

პარტნიორები და მონაწილეები

სამუშაო შეხვედრა ორგანიზებულია საქართველოს ბიომასის ასოციაციის მიერ და მისი მასპინძელია თიანეთის მუნიციპალიტეტი. ორმოცდაათი მონაწილეობას მიიღებს სამოცდაათამდე სტუმარი. გარდა პარტნიორებისა და მონაწილეებისა, სემინარზე მოწვეული იქნებიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, კერძოდ:

- მთავრობის წარმომადგენლები
- ფინანსური სააგენტოები
- კერძო კომპანიები
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- უნივერსიტეტები

ღონისძიების ჩატარების დრო და ადგილი

სამუშაო შეხვედრა - „ბიომასის პოპულარიზაცია საქართველოში“- ჩატარდება 2017 წლის 20 ივლისს თიანეთის მუნიციპალიტეტში

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში დაგეგმილი მოხსენებები:

შეხვედრაზე განხილულ იქნება ოთხი ძირითადი საკითხი:

- საკითხი 1: საქართველოს ბიომასის ასოციაციის წარდგენა;
- საკითხი 2: ბიომასა საქართველოში - გამოწვევები და შესაძლებლობები;
- საკითხი 3: პროექტის იმპლემენტაციის გეგმა და მოსალოდნელი შედეგები;
- საკითხი 4: უცხოური გამოცდილების წარმატებული მაგალითები.